უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

მშენებლობა

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„04“ აპრილი 2022 წელი

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეულიმეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი - ალექსანდრე

გვარი - წაქაძე

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	მშენებლობა
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე[2]	6
4	კვალიფიკაციის დასახელება	სამოქალაქო ინჟინერიის ბაკალავრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	0732 სამოქალაქო ინჟინერია
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240
9	განხორციელების ადგილი[5]	საქართველო, ბათუმი, 6010, ფიროსმანის ქუჩა 12, სასწავლო კორპუსი 4
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული 2021 წლის 1 თებერვალი, MES 3 21 0000049697
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	გადაწყვეტილება №MES 3 21 0000049697
12	საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის	2021 წლის 1 თებერვალი

[1]დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2]ეროვნულიკვალიფიკაციებისჩარჩოსმიხედვით
[3]მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში
[4]განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

	წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2028 წლის 1 ოქტომბერი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. ინგლისური ენის შემსწავლელი სასწავლო კურსებში ლიტერატურა უნდა მოვიდეს სწავლების დონესთან შესაბამისობაში და განსაზღვრული უნდა იქნას წინაპირობები;
2. რეკომენდებულია, გასწორდეს მემორანდუმის გაფორმებისას გაპარული ტექნიკური ხარვეზები;
3. საჭიროა ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ დაზუსტდეს და ანალოგიური იყოს ყველა წარმოდგენილ დოკუმენტში;
4. რეკომენდებულია შეფასების ქულები და მათი შეფასების კრიტერიუმები მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში;
5. წარმოდგენილი მასალებიდან გამოიკვეთა, რომ გასაახლებელია ლაბორატორიული ხელსაწყოებისა და აღჭურვილობის ბაზა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2022 წლის 1 თებერვალს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილ იქნა ანგარიში უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე. 2022 წლის 1 თებერვალი თარიღი განსაზღვრული იყო როგორც ანგარიშის წარმოდგენის ბოლო ვადა, რაც არ დაურღვევია უსდ-ს. 2021 წლის 25 იანვარს წარმოდგენილი დასკვნით, პროგრამის შეფასებისას გამოთქმული რეკომენდაციების და შენიშვნების გათვალისწინების საკითხებზე უსდ-ს მხრიდან მუშაობდა ჯგუფი. ანგარიშის მომზადების კონტროლს ახორციელებდა ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გაიოზ ფარცხალაძე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ასოც. პროფესორი გოჩა ჩავლეშვილი. ჯგუფის მიერ შესრულებული სამუშაოების ეტაპობრივ მონიტორინგს ახორციელებდა ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ასოც. პროფესორი ირაკლი კორძაია, შემდგომში ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი პროფესორი ვლადიმერ ღლონტი.

---

[6]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

[7]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 9 მარტის №06-01/17 დადგენილებით „მშენებლობის“ საბაკალავრო საგანამათლებლო პროგრამაში შევიდა ცვლილებები, რომლის მიხედვით „პირველ სემესტრში სტუდენტის ინგლისური ენის ცოდნის დონე განისაზღვრა დიაგნოსტიკური ტესტის საშულებით, ტესტირების შედეგების მიხედვით ხდება სტუდენტების გადანაწილება ინგლისური ენის შესაბამისი დონის სასწავლო კურსებზე“ [1].

რეკომენდაცია I გადაწყვეტა - ინგლისური ენის შესწავლა ითვალისწინებს შემდეგი დონეების გავლას: დამწყები (Beginner), A1.1, A1.2, A2.1, A2.2, B1.1, B1.2, B2.1.1, B2.1.2, B2.2.1, B2.2.2. ყოველი დონე ერთმანეთთან დაკავშირებულია წინაპირობით, რომლის გავლის გარეშე სტუდენტი მომდევნო დონეზე არ დაიშვება. დონეების მიხედვით მკაფიოდ იქნა განსაზღვრული სასწავლო კურსის მიზნები და შედეგები თითოეული სასწავლო კურსისთვის. სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა შეესაბამისობაში იქნა მოყვანილი სწავლის შედეგის დონეთან. [2], [3.1-3.11].

რეკომენდაცია II გადაწყვეტა - უსდ ბსუ-ის მიერ წარმოდგენილ იქნა განახლებული მემორანდუმები, რომელიც გაფორმებული აქვთ სხვადასხვა სამშენებლო და საპროექტო კომოპანიასთან, სადაც: გაწერილი იქნა სპეციალობა, სტუდენტთა რაოდენობა და სხვა მონაცემები, რომლებიც ესაჭიროება პარტნიორ ორგანიზაციებსა და უნივერსიტეტს პრაქტიკის/ლაბორატორიის განხორციელების პერიოდში [15-24].

რეკომენდაცია III გადაწყვეტა - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 9 მარტის №06-01/17 დადგენილებით [1] „მშენებლობის“ საბაკალავრო საგანამათლებლო პროგრამაში შევიდა ცვლილებები, რომლის მიხედვით შეფასების სისტემა ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

,,სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, საიდანაც შუალედურ შეფასებას ეთმობა მინიმუმ 40 და მაქსიმუმ 60 ქულა (შუალედური გამოცდა - 20, ხოლო მიმდინარე შეფასება - მაქსიმუმ 40 ქულა) და დასკვნით გამოცდას - მინიმუმ 40 ქულა.

შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 35% (60 ქულის შემთხვევაში - 21 ქულა).

დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 50% (40 ქულის შემთხვევაში - 20 ქულა).

ყოველ კონკრეტულ სასწავლო კურსში, მიმდინარე აქტიურობის ყველა კომპონენტში, სტუდენტს შეუძლია დააგროვოს ქულათა გარკვეული მაქსიმუმი. ქულათა მაქსიმუმი მითითებულია შესაბამის სილაბუსში და განისაზღვრება სასწავლო კურსის განმახორციელებელი პირის მიერ ინდივიდუალურად.“

რეკომენდაცია IV გადაწყვეტა - შეფასების ქულებისა და მათი შეფასების კრიტერიუმების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ზემოთხსენებული დადგენილების მიხედვით სასწავლო კურსების: „საგზაო მშენებლობა“; „ხის კონსტრუქციები“; „ხიდების კონსტრუქციები“; „ლითონის კონსტრუქციები I“; „რკინა-ბეტონისა და ქვის კონსტრუქციები I“; „ლითონის კონსტრუქციები II“; ,,რკინა-ბეტონისა და ქვის კონსტრუქციები II“; „შრომის უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვა“; „ამწე-

სატრანსპორტო მანქანები“ და „სამშენებლო მანქანები“ სილაბუსებში საშინაო დავალების შეფასების კრიტერიუმები ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

0 ქულა - დავალება არ არის შესრულებული ან არსებითად არასწორია;

1 ქულა - დავალება შესრულებულია არასრულად ან დაშვებულია უხეში შეცდომები;

2 ქულა - დავალება შესრულებულია ხარვეზებით, არ არის მიღებული სწორი პასუხი;

3 ქულა - დავალება შესრულებულია სწორად, დასაშვებია მცირე ხარვეზები;

4 ქულა - დავალება შესრულებულია უმნიშვნელო ხარვეზებით, მიღებულია სწორი პასუხი;

5 ქულა - დავალება შესრულებულია უშეცდომოდ, მიღებულია სწორი პასუხი.

სასწავლო კურსების: „საგზაო მშენებლობა“; „ხის კონსტრუქციები“; „ხიდების კონსტრუქციები“; „ლითონის კონსტრუქციები I“; „რკინა-ბეტონისა და ქვის კონსტრუქციები I“; „ლითონის კონსტრუქციები II“; „ეკოლოგია და გარემოს დაცვა“ სილაბუსებში პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები კი:

0 ქულა - პრეზენტაცია არ არის შესრულებული ან არ შეესაბამე¬ბა დასმულ ამოცანას;

1 ქულა - საპრეზენტაციო თემა წარმოდგენილია დასმული ამოცანის შესაბამისად;

1 ქულა - პრეზენტაციისას სტუდენტი მსჯელობს სწორად, აქვს საკუთარი აზრის ჩამოყალიბების უნარი;

1 ქულა - პრეზენტაცია ენობრივად და სტილისტურად სრულყოფილია;

2 ქულა - დასკვნები/შედეგები ჩამოყალიბებულია სწორად.

რეკომენდაცია V გადაწყვეტა - ლაბორატორიული ხელსაწყოებისა და აჭურვილობის ბაზის განახლების მიზნით ბსუ-ში მიმდინარეობს შესაბამისი ღონისძიებები: ტექნოლოგიური ფაკულტეტისათვის შეძენილი იქნა 4 კომპლექტი გეოდეზიური ხელსაწყო - ოპტიკური ნიველირი- GOL 2D+BT160+GR500 [1].

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 30 დეკემბრის №07-01/63 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია ტექნოლოგიური ფაკულტეტის საშენი მასალების, სამშენებლო კონსტრუქციების, ფუძე საძირკვლების ლაბორატორიების აღჭურვილობის შეძენა; გარდა ამისა გათვალისწინებულია შრომის უსაფრთხოების ლაბორატორიის შექმნა, რომლისთვისაც უნდა მოხდეს აღჭურვილობის შეძენა. ასევე დაგეგმილია სასწავლო და სამუშაო პირობების გაუმჯობესების მიზნით ჭკვიანი დაფის, სახაზავი დაფების, რეიშინებისა და სხვ. შეძენა. [26, 27]

ბსუ-სა და შპს „ნაგებობათა ტექნიკური მდგომარეობის შეფასების ცენტრს“ შორის გაფორმებული იქნა თანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის მიხედვით, აღნიშნული ცენტრის ბაზა გამოყენებული იქნება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის, ლაბორატორიული სამუშაოს და კვლევითი ექსპერიმენტის განხორციელების მიზნით [18].

რეკომენდაციების გათვალისწინების მტკიცეულებად უსდ-ს წარმოდგენილი აქვს შესაბამისი დოკუმენტები

რჩევ(ებ)ი[8]

1. პროგრამის მიზანშივე რეკომენდებულია ჩანდეს მისი საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებზე ორიენტირება;
2. რეკომენდებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ატვირთულ საინფორმაციო ფაილში (https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_8133_1.pdf) მითითებულ იქნას პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;
3. პროგრამის სტრუქტურა უკეთესი იქნება წარმოდგენილი იქნას მეტად დეტალიზებით;
4. კარგი იქნება თუ ძირითადი სასწავლო კურსები დალაგებული იქნება იმგვარად, რომ მარტივად იკითხებოდეს თუ რომელ საგანთა ჯგუფი მიეკუთვნება საუნივერსიტეტოს, რომელი, ძირითადს და რომელი მოიცავს კვლევით და პრაქტიკულ კომპონენტებს, ასევე გამოყოფილი იქნება საგანთა ჯგუფი მაინორისათვის.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნით გათვალისწინებული რჩევების შესრულებაზე ინფორმაცია შემდეგია:

რჩევა I გადაწყვეტა - პროგრამის განმახორციელებელი პირები მუშობენ „მშენებლობის“ საგანმანათლებლო პროგრამისათვის საერთაშორისო ABET აკრედიტაციის მიღებაზე. ამ მიზნით პროგრამის ხელმძღვანელი იმყოფებოდა აშშ-ში ABET-ის სიმპოზიუმზე [28].

რჩევა II გადაწყვეტა - უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ატვირთულ საინფორმაციო ფაილი ჩასწორებულ იქნა სადაც მითითებული იქნა პროგრამაზე დაშვების წინაპირობა.

რჩევა III და IV გადაწყვეტა - არ არის წარმოდგენილი.

დამატებითი ინფორმაცია[10]

---

[8]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

[9]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[10]საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[13]	1.1 პროგრამის მიზნები
რეკომენდაცია –[14]	
შეფასება	
რჩევა[15]I	პროგრამის მიზანშივე რეკომენდებულია ჩანდეს მისი საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებზე ორიენტირება.
შეფასება	რჩევა გათვალისწინებულია
მტკიცებულებ(ები)ა	ABET სიმპოზიუმზე მონაწილეობის დამადასტუდრებელი სერტიფიკატები
სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
რეკომენდაცია -	
შეფასება	
რჩევა II	რეკომენდებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ატვირთულ საინფორმაციო ფაილში (https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_8133_1.pdf) მითითებულ იქნას პროგრამაზე დაშვების წინაპირობა.
შეფასება	რჩევა მიღებულია და გასწორებულია შესაბამისად.
მტკიცებულებ(ები)ა	https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_8133_1.pdf
სტანდარტის დასახელება	2. სწავლების ეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია -	

[11]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით
[12]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[13]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[14]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[15]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

შეფასება	
რჩევა III	პროგრამის სტრუქტურა უკეთესი იქნება წარმოდგენილი იქნას მეტად დეტალიზებით
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	-
სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი
რეკომენდაცია I	ინგლისური ენის შემსწავლელი სასწავლო კურსებში ლიტერატურა უნდა მოვიდეს სწავლების დონესთან შესაბამისობაში და განსაზღვრული უნდა იქნას წინაპირობები.
შეფასება	განხორციელებული ღონისძიებები საკმარისად მიმაჩნია, რათა რეკომენდაცია ჩაითვალოს შესრულებულად. კერძოდ, საბაკალავრო პროგრამა „მშენებლობა“-ს დაემატა ჩანაწერი „პირველ სემესტრში სტუდენტის ინგლისური ენის ცოდნის დონე განისაზღვრება დიაგნოსტიკური ტესტის საშულებით, ტესტირების შედეგების მიხედვით ხდება სტუდენტების გადანაწილება ინგლისური ენის შესაბამისი დონის სასწავლო კურსებზე“ (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 9 მარტის №06-01/17 დადგენილებით)[1]. ასევე დაკონკრეტდა ინგლისური ენის შესწავლის დონეები, რომლებიც ერთმანეთტან დაკავშირდა წინაპირობებით, რომლის გავლის გარეშე სტუდენტი მომდევნო დონეზე არ დაიშვება. დონეების მიხედვით მკაფიოდ განისაზღვრა სასწავლო კურსის მიზნები და შედეგები თითოეული სასწავლო კურსისთვის. სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა შეესაბამისობაში იქნა მოყვანილი სწავლის შედეგის დონესთან. [2], [3.1-3.11].
რჩევა IV	კარგი იქნება თუ ძირითადი სასწავლო კურსები დალაგებული იქნება იმგვარად, რომ მარტივად იკითხებოდეს თუ რომელ საგანთა ჯგუფი მიეკუთვნება საუნივერსიტეტოს, რომელი, ძირითადს და რომელი მოიცავს კვლევით და პრაქტიკულ კომპონენტებს
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	1. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 9 მარტის №06-01/17 დადგენილება 2. „მშენებლობის“ საგანმანათლებლო პროგრამა 3. 3.1-3.11 ინგლისური ენის სილაბუსები.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია II	რეკომენდებულია, გასწორდეს მემორანდუმის გაფორმებისას გაპარული ტექნიკური ხარვეზები.
შეფასება	წარმოდგენილი მემორანდუმები (გაფორმებულია 10 სუბიექტთან) მოიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას, რაც რეკომენდაციის შესასრულებლად არის საჭირო. კერძოდ განისაზღვრა სპეციალობა და სტუდენტთა რაოდენობა და დაკონკრეტდა მემორანდუმის შედგენის მიზანი - საწარმოო პრაქტიკის გავლა ან/და კვლევით ექსპერიმენტში მონაწილეობა.
რჩევა -	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	15. მემორანდუმი შპს „ანაგთან“ 16. მემორანდუმი შპს „ორბი ჯგუფთან“ 17. მემორანდუმი შპს „აჭარსპეცპროექტთან“ 18. მემორანდუმი შპს „ნაგებობათა ტექნიკური მდგომარეობის შეფასების ცენტრთან“ 19. მემორანდუმი შპს „არქილიგასთან“ 20. მემორანდუმი შპს „დეგოსთან“ 21. მემორანდუმი შპს „ნიუ ჰაუსთან“ 22. მემორანდუმი შპს „ბათმშენთან“ 23. მემორანდუმი შპს „სამშენებლო კომპანია სურმანიძეებთან“ 24. მემორანდუმი შპს „ახალი ხედვასთან“
სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.6. სტუდენტების შეფასება
რეკომენდაცია III	1. საჭიროა ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ დაზუსტდეს და ანალოგიური იყოს ყველა წარმოდგენილ დოკუმენტში;
რეკომენდაცია IV	

	2. რეკომენდებულია შეფასების ქულები და მათი შეფასების კრიტერიუმები მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში.
შეფასება	1. დაზუსტებულ იქნა შეფასების შესახებ ინფორმაცია და დაკორექტირებულია აღნიშნული ყველა დოკუემტში; 2. შეფასების ქულები და კრიტერიუმები ურთიერთშესაბამისობაშია განხორციელებული ღონისზიებები საკმარისია რეკომენდაციის შესასრულებლად.
რჩევა -	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	1. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 9 მარტის №06-01/17 დადგენილება 2. მშენებლობის საგანმანათლებლო პროგრამა 4. სასწავლო კურსი „საგზაო მშენებლობის“ სილაბუსი 5. სასწავლო კურსი „ხის კონსტრუქციების“ სილაბუსი 6. სასწავლო კურსი „ხიდების კონსტრუქციების“ სილაბუსი 7. სასწავლო კურსი „ლითონის კონსტრუქციები I“ სილაბუსი 8. სასწავლო კურსი „რკინა-ბეტონისა და ქვის კონსტრუქციები I“ სილაბუსი 9. სასწავლო კურსი „ლითონის კონსტრუქციები II“ სილაბუსი 10. სასწავლო კურსი,,რკინა-ბეტონისა და ქვის კონსტრუქციები II“ სილაბუსი 11. სასწავლო კურსი „შრომის უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვის“ სილაბუსი 12. სასწავლო კურსი „ამწე-სატრანსპორტო მანქანების“ სილაბუსი 13. სასწავლო კურსი „სამშენებლო მანქანების“ სილაბუსი 14. სასწავლო კურსი „ეკოლოგია და გარემოს დაცვის“ სილაბუსი.

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.3 მატერიალური რესურსი
რეკომენდაცია V	წარმოდგენილი მასალებიდან გამოიკვეთა, რომ გასაახლებელია ლაბორატორიული ხელსაწყოებისა და აღჭურვილობის ბაზა.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია, საკმარისად მიმაჩნია განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებები. ტექნოლოგიური ფაკულტეტისათვის უსდ-მ შეიძინა 4 კომპლექტი გეოდეზიური ხელსაწყო - ოპტიკური ნიველირი- GOL 2D+BT160+GR500 [1]. ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 30 დეკემბრის №07-01/63 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ 2022 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ტექნოლოგიური ფაკულტეტის საშენი მასალების, სამშენებლო კონსტრუქციების, ფუძე საძირკვლების ლაბორატორიების აღჭურვილობის შეძენა. გეგმაშია შეიქმნას შრომის უსაფრთხოების ლაბორატორია, რომლისთვისაც განსაზღვრულია აღჭურვილობის შეძენა. ასევე გათვალისწინებულია ჭკვიანი დაფის, სახაზავი დაფების, რეიშინებისა და სხვათა შესყიდვა. [26, 27] ბსუ-სა და შპს „ნაგებობათა ტექნიკური მდგომარეობის შეფასების ცენტრს“ შორის გაფორმებული იქნა თანამშრომლობის მემორანდუმი, რაც მოიაზრებს ცენტრის ბაზის გამოყენებას საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის, ლაბორატორიული სამუშაოს და კვლევითი ექსპერიმენტის განხორციელებისას [18].
რჩევა -	
შეფასება	

მტკიცებულებ(ები)ა	25. მიღება-ჩაბარების აქტი. 26. ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 30 დეკემბრის №07-01/63 გადაწყვეტილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი. 27. ბსუ-ს ფაკულტეტების, კვლევითი ინსტიტუტებისა და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების მხარდაჭრის პროგრამა, ქვეპროგრამა - ტექნოლოგიური ფაკულტეტი. 18. მემორანდუმი შპს „ნაგებობათა ტექნიკური მდგომარეობის შეფასების ცენტრთან“

თანდართული დოკუმენტაცია[16]

1. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 9 მარტის №06-01/17 დადგენილება [3 ფურც]
2. მშენებლობის საგანმანათლებლო პროგრამა [6 ფურც]
3. 3.1-3.11 ინგლისური ენის სილაბუსები [74 ფურც]
4. სასწავლო კურსი „საგზაო მშენებლობის“ სილაბუსი [7 ფურც]
5. სასწავლო კურსი „ხის კონსტრუქციების“ სილაბუსი [7 ფურც]
6. სასწავლო კურსი „ხიდების კონსტრუქციების“ სილაბუსი [5 ფურც]
7. სასწავლო კურსი „ლითონის კონსტრუქციები I“ სილაბუსი [6 ფურც]
8. სასწავლო კურსი „რკინა-ბეტონისა და ქვის კონსტრუქციები I“ სილაბუსი [8 ფურც]
9. სასწავლო კურსი „ლითონის კონსტრუქციები II“ სილაბუსი [6 ფურც]
10. სასწავლო კურსი,,რკინა-ბეტონისა და ქვის კონსტრუქციები II“ სილაბუსი [8 ფურც]
11. სასწავლო კურსი „შრომის უსაფრთხოება და საგანგებო სიტუაციების მართვის“ სილაბუსი [7 ფურც]
12. სასწავლო კურსი „ამწე-სატრანსპორტო მანქანების“ სილაბუსი [6 ფურც]
13. სასწავლო კურსი „სამშენებლო მანქანების“ სილაბუსი [5 ფურც]
14. სასწავლო კურსი „ეკოლოგია და გარემოს დაცვის“ სილაბუსი [6 ფურც]
15. მემორანდუმი შპს „ანაგთან“ [1 ფურც]

[16]თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა

16. მემორანდუმი შპს „ორბი ჯგუფთან“ [1 ფურც]
17. მემორანდუმი შპს „აჭარსპეცპროექტთან“ [1 ფურც]
18. მემორანდუმი შპს „ნაგებობათა ტექნიკური მდგომარეობის შეფასების ცენტრთან“ [1 ფურც]
19. მემორანდუმი შპს „არქილიგასთან“[1 ფურც]
20. მემორანდუმი შპს „დეგოსთან“[1 ფურც]
21. მემორანდუმი შპს „ნიუ ჰაუსთან“ [1 ფურც]
22. მემორანდუმი შპს „ბათმშენთან“[1 ფურც]
23. მემორანდუმი შპს „სამშენებლო კომპანია სურმანიძეებთან“ [1 ფურც]
24. მემორანდუმი შპს „ახალი ხედვასთან“ [1 ფურც]
25. მიღება-ჩაბარების აქტი [2 ფურც]
26. ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 30 დეკემბრის №07-01/63 გადაწყვეტილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი [7 ფურც]
27. ბსუ-ს ფაკულტეტების, კვლევითი ინსტიტუტებისა და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების მხარდაჭრის პროგრამა, ქვეპროგრამა - ტექნოლოგიური ფაკულტეტი [6 ფურც]
28. ABET სიმპოზიუმზე მონაწილეობის დამადასტუდრებელი სერტიფიკატები [2 ფურც]
29. უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში [14 ფურც]

სულ 189 ფურცელი დანართი

ექსპერტის ხელმოწერა

ალექსანდრე წაქაძე _____